ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 317

"4" აგვისტო 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" კაპიტალის გაზრდასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ქონების (ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების) განკარგვის (გასხვისების ან/და სარგებლობის უფლებით გადაცემის) და ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-100 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 24 ივნისის №25.10.736 განკარგულების საფუძველზე,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-ანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას" (ს/კ202886788), დედაქალაქის მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებისათვის და სატრანსპორტო საშუალებების მართვის სისტემების ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად, კაპიტალში შენატანით გადასცეს დედაქალაქში ავტობუსის გაჩერებებზე დამონტაჟებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ელექტრონული ტაბლოები, ღირებულებით 66 150 (სამოცდაექვსი ათას ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი